გამარჯვება თასის მფლობელზე

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) – 3:1 (2:0).

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 27 მაისი.

მსაჯი: ა. ტაველსკი (კუიბიშევი).

თბილისელი მაყურებელი მოუთმენლად ელოდა რესპუბლიკის დედაქალაქის დინამოელთა მატჩს სსრ კავშირის თასის მფლობელთან – მოსკოვის “სპარტაკთან”. და როდესაც მსაჯის სასტვენის ხმაზე გუნდები მოედანზე გამოვიდნენ, 40.000 მაყურებლით სავსე ტრიბუნებმა ტაშით იქუხა.

ლიდერის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, სარჯველაძე, პანიუკოვი, ანთაძე, ჯოჯუა, კ. გაგნიძე, ვარდიმიადი, ღოღობერიძე, თოდრია. მოსკოველთა რიგებში იყვნენ: ჩერნიშოვი (კოსტიკოვი), ტიშჩენკო, სოკოლოვი, სედოვი, ტიმაკოვი, ნეტო, პარამონოვი, პარშინი, სიმონიანი, რისკოვი, ობოტოვი (ტერენტიევი).

მატჩი დაიწყო მასპინძელთა მძაფრი იერიშით და მოსკოველთა დაცვას თავიდანვე მოუხდა მძიმე ბრძოლის გადატანა. “დინამოს” თავდასხმის ხუთეული, რომელსაც ბრწყინვალედ ეხმარებოდნენ ანთაძე და პანიუკოვი, გაშლილი ფრონტით უტევდა “სპარტაკის” კარს. სტუმრები აქტიურ დაცვას აწარმოებდნენ და თავის მხრივ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ.

თბილისელთა შორის განსაკუთრებული ქების ღირსნი იყვნენ ანთაძე, პანიუკოვი და ძიაპშპა. პირველი ორი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავად ასრულებდა დაცვის ფუნქციებს, პარტნიორთა თითქმის ყველა იერიშში იღებდა მონაწილეობას (განსაკუთრებით ანთაძე). ასეთ მომენტებში, როდესაც ანთაძეს თავისი ენერგიული და საზრიანი რეიდებით “პანიკა” შეჰქონდა მოწინააღმდეგის დაცვის რიგებში, ღოღობერიძე ოდნავ უკან იხევდა და ანთაძის ზონას უწევდა კონტროლს. ძიაპშპამ თამაშის საშუალება არ მისცა სიმონიანს. იგი აჩრდილივით დასდევდა “სპარტაკის” ცენტრალურ თავდამსხმელს და ამის მიზეზი იყო ის, რომ სიმონიანმა 90 წუთის განმავლობაში ორჯერ დაარტყა კარში (მარღანიამ მასთან “ფრედ” ითამაშა – ერთი ბურთი აიღო, ერთი – გაუშვა).

სპარტაკელთა თამაშმა ვერ დასტოვა მაინცადამაინც კარგი შთაბეჭდილება. გარდა დაცვისა, ვერც ნახევარდაცვამ და ვერც თავდასხმამ ვერ გამოიჩინა ის მაღალი ოსტატობა, რაც გუნდს გასულ სეზონში ახასიათებდა.

ანგარიში გახსნა ანთაძემ. იგი სწრაფად გაიჭრა ჯოჯუას მიერ მარჯვნიდან ჩამოწოდებულ ბურთზე და შეუჩერებლივ, 25 მეტრიდან მძლავრად დაარტყა. ჩერნიშოვმა ნახტომით დაიგვიანა და… “სპარტაკმა” ცენტრიდან დაიწყო თამაში. ეს მოხდა 23–ე წუთზე.

მეორე ბურთი ოსტატური გარღვევის შედეგად გაიტანა ღოღობერიძემ (36–ე წუთზე).

76–ე წუთზე მასპინძლებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს (ჯოჯუა–ვარდიმიადი) და “სპარტაკის” კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც მსაჯის საფინალო სასტვენამდე 4–5 წამი იყო დარჩენილი, მოსკოველებმა გაქვითეს ერთი გოლი.

დუბლიორთა შეხვედრაში, რომელიც გაიმართა ქ. გორში, გაიმარჯვა “სპარტაკმა” – 1:0.

მ. გიაძე.

“ლელო”, 1 ივნისი 1951 წ.